საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. კაკაბეთსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭერამისა და ზეგანის ტერიტორიაზე ძველი გზის რეაბილიტაციისეთვის გამოყოფილ ტერიტორიებზე, არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და დაცვის მიზნით ჩატარებული კვლევის ანგარიში



დამკვეთი მუნიციპალური განვითარების ფონდი

შემსრულებელი ბ. კუპრეიშვილი

თბილისი 2019 წ.

კაკაბეთ-ჭერემი-ზეგანის არსებული გზის რეაბილიტაციის საწყისი ადგილი, რომლის კორდინატებია X545319; Y4616361, მდებარეობს სოფელ კაკაბეთის ხეკალის უბანში და დასავლეთიდან მიემარეთება აღმოსავლეთით, გადის სოფლის ტერიტორიას, გაივლის მინდვრებიან ადგილებს, შედის ტყიან ადგილებში, გადადის კაკანას სერზე , გაივლის მაჟალის ველებს, საბას წყალს და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გადადის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭერემის ტერიტორიაზე, აქაც გადის ტყიან ადგილებს, ხევებს, სოფელ ჭერემს ჩაუვლის სამხრეთის მხრიდან, ორჯერ გადაკვეთს ჭერმისხევს და მიემართება სოფელ ზეგანისკენ. აქ გზა მიუყვება ჭერმისხევის მარჯვენა ნაპირს და უერთდება თბილისი-თელავის ცენტრალურ საავტომობილო გზას, რომლის კოორდინატებია X561579; Y4628099. უნდა აღინიშნოს რომ დღეს არსებული გზა საშინელ მდგომარეობაშია.

მიუხედავად იმისა, რომ კაკაბეთი-ჭერამი-ზეგანის სარეაბილიტაციო გზა გადის იმ სოფლებზე, სადაც დაფიქსირებულია არქიტექტურის ძეგლები [1] (აქ მოგვყავს ძეგლების რაოდენობა ციფრებში)

სოფ. კაკაბეთი (საგარეჯო) - ხუთი ძეგლი

სოფ. ჭერემი (გურჯაანი) - ათი ძგლი (მათ შორის საეპისკოპოსო ტაძრის კომპლექსი)

სოფ. ზეგანი (გურჯაანი) – 3 ძეგლი (მათ შორის ყოვლაწმინდას სამონასტრო კომპლექსი)

საბედნიეროდ ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევითი სამუშაოების დროს დადგინდა, რომ კაკაბეთი-ჭერემი-ზეგანის გზის სარებილიტაციო პროექტი, რომელითაც უნდა აღსდგეს, არსებული საკმაოდ ძლიერ დაზიანებული გზა, ისეა შესრულებული, რომ საპროექტო დერეფანსა და მის მიმდებარე ვრცელ ტერიტორიაზე არქიტექტურის ძეგლები საერთოდ არ ფიქსირდება. ზემოთ აღნიშნული ძეგლები, საკმაო მანძილით არის დაცილებული საპროექტო გზას.

ამდენად კაკაბეთი-ჭერამი-ზეგანის გზის სარებილიტაციო პროექტით გათვალისწინებული, საპროექტო სამუშაოების წარმოება დასაშვებად მიგვაჩნია, რადგანაც ჩასატარებელი სამუშაოების პროცესი უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენენ გზის გამავალ სოფლებში მდებარე არქიტექტურის ძეგლებზე.

ანგარიშს თან ახლავს რუკა და ფოტო მასალა.

ისტორიკოსი, ძეგლთა დაცვის

სპეციალისტი ბ. კუპრეიშვილი

ინფორმაცია - „საქ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ ტომი I, ნაწილი 1. თბ. 2013წ და ტომი I, ნაწილი III თბ. 2013წ

გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში სოფ.ველისციხიდან სოფ. კაკაბეთამდე (ცენტრალურ მაგისტრალამდე სოფ.ჭერემის გავლით) გზის რეაბილიტაციისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე არქეოლოგ მერაბ ძნელაძის მიერ ჩატარებული

არქეოლოგიური კვლევის ანგარიში



არქეოლოგი - ექსპერტი

ისტორიის დოქტორი მერაბ ძნელაძე

2019 წ.

2019 წლის ივლისს, არქეოლოგიური დასკვნის მიზნით გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში სოფელ ველისციხიდან სოფელ კაკაბეთამდე (ცენტრალურ მაგისტრალამდე სოფელ ჭერემის გავლით) გზის რეაბილიტაციისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე არქეოლოგიური საექსპერტო კვლევა ჩავატარე (იხ.აეროფოტო რუკა, გეგმა, სურათები) .

შესასწავლი გზის დერეფნის, არასასოფლო სამეურნეო მიწის, სიგრძეა - 21 კმ., სიგანე 10-20 მ., საწყისი კოორდინატებია: X – 545319.13; Y – 4616361.48; დასასრულის კოორდინატები: X – 561579.90; Y – 4628099.85.

კვლევა სოფელ კაკაბეთის ზედა ნაწილიდან (ადგილ „ხეკალის უბნიდან“) დავიწყეთ. ახალი გზა ძველს მიუყვება. იგი სოფლის ნაწილს, ჯერ ვერტიკალურად ზევით გადაკვეთს, შემდეგ კი ჩრდილო - აღმოსავლეთით და შემდგომ აღმოსავლეთის მიმართულებით გაემართება.

გზის დერეფანი, თითქმის მთელ მანძილზე, დაბალი ტყისა და საძოვარ ველ-მინდვრებზე გადის. ნელ-ნელა ზემოდ ადის, ფერდის თავზე გადადის და მას კლაკნილად გაუყვება. სამხრეთიდან (ზემოდან) გაუვლის სოფელ ჭერემს და ნელ-ნელა ჭერმის წყლის ხეობას დაბლა ჩაუყვება. საბოლოოდ, იგი სოფელ ზეგაანთან და ველისციხესთან მთავრდება.

აღნიშნული გზის დერეფნის ვიზუალური დაკვირვების შედეგად აქ არქეოლოგიური ობიექტის ნაშთები და არტეფაქტები არ დადასტურდა. ასევე, შესაბამის ლიტერატურაშიც, აღნიშნულ ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ ფიქსირდება და არქეოლოგიური კვლევა-ძიება არ ჩატარებულა.

ამდენად, გამოყოფილ ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების ჩატარება დასაშვებად მიგვაჩნია.

მიწის სამუშაოების პროცესში არქეოლოგიური ძეგლის დადასტურების შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონის შესაბამისად უზრუნველყოს ძეგლის გადაუდებელი შესწავლა.

ექსპერტ -არქეოლოგი

ისტორიის დოქტორი

მერაბ ძნელაძე -